ო ქ მ ი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 2023 წლის 26 აპრილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მოგელი ხუხია

9.გურიელ ქარდავა

10.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 24 აპრილის N50 – 2311436 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 24 აპრილის N 50 – 502311467 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 24 აპრილის N 50 – 50231436 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა შეისწავლა მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები, რომლის საფუძველზე მომზადდა 2022 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული და ექპლუატაციისთვის უვარგისი ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნუსხა, რომელიც სრულად არის ამორტიზირებული და მათი ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია. წარმოდგენილ პროექტს თან ერთვის აუდიტორული დასკვნები და დანართ, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩამოსაწერი მოძრავი ქონების სახელობითი ჩამონათვალი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი ან შენიშვნა არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდე გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 24 აპრილის N 50 – 502311467 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ქ. ხობში სკვერის ტერიტორიაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, შესაძლებელი მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება და ამ მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნიათ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გაიჯარება იჯარა - აღნაგობის უფლებით 2 წლის ვადით.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი ან შენიშვნა არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/.